

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის მოხსენება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017-18 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე**

(2019 წლის 21 მარტის მდგომარეობით)

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მასში მოცემული კონსტიტუციური სტანდარტების სრულყოფილი რეალიზაცია მოითხოვს რიგი ზომების მიღებას როგორც თავად სასამართლოს, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესის ზედამხედველობა ხელს უწყობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017-18 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას 2019 წლის 21 მარტის მდგომარეობით.

**2017-18 წლებში სასამართლოს მიერ მიღებული აქტები და მათი აღსრულების მიმდინარეობა**

2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 29 გადაწყვეტილება და 6 განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, რომლითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტური შინაარსის ნორმები („დამძლევი ნორმები“) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი არსებითად განსახილველად მიღების გარეშე. 2018 წლის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 19 გადაწყვეტილება და 4 განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების

დამძლევი ნორმები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი არსებითად განსახილველად მიღების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება უკავშირდება შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება აღგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება“. ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სრული ტექსტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მისი მიღებიდან 15 დღის ვადაში ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მომდევნო 2 დღის ვადაში აქვეყნებს მას. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა, აგრეთვე ამ კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული განჩინება და იმავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საოქმო ჩანაწერი ამ კანონით დადგენილი წესით ცხადდება სხდომათა დარბაზში, მისი სრული ტექსტი ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მიღებისთანავე აქვეყნებს მას. ამასთან, ამავე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების თითო ასლს უგზავნის მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. 2017 და 2018 წლებში არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც დაირღვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და ეგზავნის საკანონმდებლო მოთხოვნები.

ამასთან, სასამართლო მუდმივად ცდილობს მაქსიმალურად ეფექტური და მოქნილი გახდეს მისი გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივლისიდან საკონსტიტუციო სასამართლო გადავიდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“ კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე, რაც ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

**საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადება და მისი აღსრულება**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემთხვევები, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სასამართლო ავადებს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულებას სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადება ხორციელდება მაშინ, როდესაც სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შესაძლოა, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანება. აღნიშნული მექანიზმის მიზანია, რეგულირების გარეშე არ დარჩეს ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივად საჭიროებს სამართლებრივ მოწესრიგებას. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მიმღები ორგანოს აქტიური მოქმედება, რათა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა არაკონსტიტუციური ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შედეგად არ დაზიანდეს შესაბამისი კერძო და საჯარო ინტერესები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად ცნობა 2017 წელს გადაავადა 5 გადაწყვეტილებასა და 2 განჩინებაში, ხოლო 2018 წელს - 7 გადაწყვეტილებაში. ქვემოთ განხილული იქნება აღნიშნული საქმეები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

2017 წლის 15 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ განწესებამდე 3-წლიან სავალდებულო გამოსაცდელ ვადას მოსამართლეობის იმ კანდიდატების მიმართაც, რომელთაც უკვე გააჩნდათ მოსამართლედ საქმიანობის 3-წლიანი გამოცდილება. სასამართლომ განმარტა, რომ ობიექტურად შესაძლებელი იყო მათი წარსული საქმიანობის შესწავლა და კანდიდატის მოსამართლის თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასება. შესაბამისად, დასახელებული პირების მიმართ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა არაკონსტიტუციური იყო და არღვევდა მოსარჩელის სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებებს. სასამართლომ გადაავადა ნორმის ძალადაკარგულად ცნობა 2017 წლის პირველ ივლისამდე და საქართველოს პარლამენტს განუსაზღვრა ვადა, რათა განხორციელებულიყო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 16 ივნისს მიიღო ორგანული კანონი №1052-II „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რის შედეგადაც რიგი საკანონმდებლო ნორმები, მათ შორის სადავო ნორმა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და მასში აისახა საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა. დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - 2017 წლის 27 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის დადგომამდე.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

2017 წლის 16 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის

დაკისრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასამართლოს განმარტებით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, განეკუთვნება მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების წესებს. თავის მხრივ, კონსტიტუცია (საქმის გადაწყვეტისას მოქმედი რედაქცია) ადგენს ამ უკანასკნელი სამართალურიერთობის ორგანული კანონის საფუძველზე მოწესრიგების ვალდებულებას. სადავო აქტის თანახმად, ზემოაღნიშნული საკითხი განსაზღვრული იყო კანონის, და არა ორგანული კანონის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები ფორმალური საფუძვლით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და არღვევდა მოსარჩელის სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. სასამართლომ საჯარო ინტერესების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2018 წლის პირველ მაისამდე და საქართველოს პარლამენტს მისცა შესაძლებლობა, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა მოწესრიგებინა კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად - ორგანული კანონის საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 20 აპრილს მიიღო საქართველოს ორგანული კანონი №2194-III „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რის საფუძველზეც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების წესები მოწესრიგდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი მაისიდან. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა ამ შემთხვევაშიც არ დატოვა ურთიერთობა მოწესრიგების გარეშე.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანგი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

2017 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილებით, „შპს „ჯორჯიან მანგანგი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც, სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის მოთხოვნის მომთხოვნ მხარეს დააკისროს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა. მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად კი პროცესის მხარეს ეძლეოდა 7-დღიანი ვადა. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირებით განსაზღვრული ვადა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი თანხის შესაგროვებლად საკმარისი არ ყოფილიყო. შესაბამისად, სადავო ნორმით ბლანკეტურად დადგენილი 7-დღიანი ვადა არაკონსტიტუციურად ცნო და დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. სასამართლომ ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2018 წლის 31 მარტამდე.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 აპრილს მიიღო საქართველოს კანონი №2115-III „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, სადავო ნორმაში არსებული ბლანკეტური 7-დღიანი ვადა ჩანაცვლდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - 2018 წლის 16 აპრილს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის შემდგომ. შესაბამისად, 2018 წლის 31 მარტიდან 2018 წლის 16 აპრილამდე ურთიერთობა დარჩა მოწესრიგების გარეშე.

#### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება. დასახელებული ნორმის თანახმად, გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემონმების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლება ჰქონდა, გადასახადის გადამხდელის ქონებაზე გაეწერებინა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას საგადასახადო დავალიანება. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გამოყენებას იმ მოცულობით, რა მოცულობისაც შესაძლოა არ ყოფილიყო ის სავარაუდო საგადასახადო დავალიანება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხდებოდა

აღნიშნული ღონისძიების გამოყენება. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება არ იყო ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება და არღვევდა მოსარჩელის საკუთრების უფლებას. სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2018 წლის პირველ ივლისამდე და საქართველოს პარლამენტს მისცა შესაძლებლობა, საკითხი მოენესრიგებინა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად.

2018 წლის 27 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი №2640-III „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - 2018 წლის 6 ივლისს. შესაბამისად, 2018 წლის პირველი ივლისიდან 2018 წლის 6 ივლისამდე საკითხი დარჩენილი იყო მოწესრიგების გარეშე.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 28 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განესაზღვრა საბაზრო ფასით. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც შეიძლებოდა გაეთვალისწინებინა საგადასახადო ორგანოს, სადავო რეგულირებით დადგენილი დისკრეციის ფარგლებში, ქონების გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულება განესაზღვრა საბაზრო ფასის თუ საბალანსო ღირებულების მიხედვით. აღნიშნული საკანონმდებლო რეალობა იძლეოდა ნორმის დისკრიმინაციულად გამოყენების შესაძლებლობას და ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის უფლებას. სასამართლომ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2018 წლის 30 აპრილამდე.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისს მიიღო საქართველოს კანონი №2327-III „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის

საფუძველზეც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლს დაემატა 4<sup>1</sup> ნაწილი და განისაზღვრა კონკრეტული წესი, რა შემთხვევებშიც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს შესაბამისი დისკრეციული უფლებამოსილება. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე - 2018 წლის 11 მაისს. შესაბამისად, 2018 წლის 30 აპრილიდან 2018 წლის 11 მაისამდე საკითხი დარჩენილი იყო მოწესრიგების გარეშე.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/13/878 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“**

საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 13 ივლისს „საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ მიიღო განჩინება და გასაჩივრებული ნორმა 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმად მიიჩნია. შესაბამისად, ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქმის არსებითი განხილვის გარეშე. „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/6 ბრძანების №1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან“ მიიჩნეოდა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებად. შესაბამისად, აღნიშნულ პირთა წრეს სრულად ჰქონდა ჩამორთმეული სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესაძლებლობა. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ემსახურებოდა სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა ჯანმრთელობის დაცვისა და სისხლის დონაციის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლეგიტიმურ მიზნებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც, 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, იგი აბსოლუტურ და ბლანკეტურ აკრძალვას ადგენდა იმ მამაკაცების მიმართ, რომლებსაც ჰქონიათ სქესობრივი კონტაქტი მამაკაცთან. სასამართლომ სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოტივით, სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2017 წლის პირველ ნოემბრამდე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2017 წლის 24 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება №01-63/6 „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული ცვლილების შედეგად მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან განისაზღვრა არა როგორც დონორობის აბსოლუტური წინააღმდეგ ჩვენება, არამედ, როგორც შეფარდებითი წინააღმდეგ ჩვენება. დასახელებული ბრძანება ამოქმედდა 2017 წლის 31 ოქტომბერს. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში საკითხი არ დარჩენილა მოუწესრიგებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავ წარედგინა კონსტიტუციური სარჩელი, რომელშიც მოსარჩელები ითხოვენ მამაკაცთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცის სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებად განსაზღვრის საკითხის მომწესრიგებელი ნორმის ძალადაკარგულად ცნობას<sup>1</sup>.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/15/1214 განჩინება საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 16 ნოემბერს საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიიღო განჩინება და გასაჩივრებული ნორმა 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილების დამძლე ნორმად მიიჩნია. შესაბამისად, სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქმის არსებითი განხილვის გარეშე. სადავო ნორმის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე, საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული იყო უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე ფიზიკური პირების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, სამოქალაქო და საკონსტიტუციო

<sup>1</sup> იბ. N1343 კონსტიტუციური სარჩელი

სამართალწარმოებებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში იდენტურია სახელმწიფო ბაჟის დანესების მიზნები და დანიშნულება. შესაბამისად, არ გამოკვეთილა რაიმე დამატებითი, 2016 წლის 29 დეკემბერის №2/6/623 გადაწყვეტილებაში განხილული შემთხვევისაგან განსახვავებული ინტერესი, რომელიც შესაძლოა, განაპირობებდეს ამ სამართალურიერთობაში ფიზიკური და იურიდიული პირების დიფერენცირებას. შესაბამისად, სადავო რეგულირება მიჩნეული იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტური შინაარსის მქონედ. აღნიშნული ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება გადავადდა 2018 წლის 31 მარტამდე, რათა საკითხის მოუწესრიგებლად დატოვებით, ზიანი არ მისდგომოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული განჩინების მიღებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა, საქართველოს პარლამენტს არ მიუღია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რის საფუძველზეც განისაზღვრებოდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობები, რომელიც თანხვედრაში მოვიდოდა საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციასთან და, ამასთანავე, უზრუნველყოფდა სახელმწიფო ბაჟის დანესების ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 3 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის

ტრანსკავკასიური იუნიონი”, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია”, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი”, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ” ქვეპუნქტის სიტყვების “საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით” ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან ათავისუფლებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით განეულ ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის, რესტავრაციისა და მოხატვის მომსახურებას. სასამართლოს მითითებით, რელიგიური გაერთიანებების უმთავრესი მიზანი მორწმუნეთა მსახურებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და რელიგიური საქმიანობის კოორდინაციაა. აღნიშნული ინტერესი თანაბრად გააჩნია როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ასევე ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას. სასამართლომ ვერ დაინახა დიფერენცირების გამართლების სათანადო ინტერესი და მიუთითა, რომ სადავო რეგულირება აწესებდა დისკრიმინაციულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით. იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლის მიერ თანასწორობა შესაძლოა მიღწეულ იქნეს როგორც საგადასახადო შეღავათის ყველა არსებითად თანასწორ პირზე გავრცელებით, ასევე მისი სრულად გაუქმებით, სასამართლომ სადავო რეგულირების ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2018 წლის 31 დეკემბრამდე, რათა კანონმდებელს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად არსებული რამდენიმე ალტერნატივიდან აერჩია ერთ-ერთი.

2018 წლის 3 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ითვალისწინებდა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევაშიც ვერ დაინახა განსახვავებული მოპყრობის გამართლების სათანადო საფუძველი და დაადგინა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია. ამასთან, ზემოთ

განხილული გადაწყვეტილების იდენტური დასაბუთებით გადაავადა სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის განსაზღვრული ვადა გავიდა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს არ განუხორციელებია შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში არც ერთ ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ასეთ პირობებში, საკანონმდებლო ორგანოს ქმედება შეიძლება აღქმული იქნეს იმგვარად, რომ მან ამ ეტაპზე დისკრიმინაციის აღმოფხვრა მიზანშეწონილად მიიჩნია სარგებლის ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის გაუქმების გზით.

**საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადავადებული გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულების ვადა არ ამოწურულა**

საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წელს მიღებულ კიდევ 5 გადაწყვეტილებაში გამოიყენა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაავადა არაკონსტიტუციური ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება. აღნიშნული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ვადა ამ დროისათვის გასული არ არის. ეს გადაწყვეტილებებია:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 31 მარტამდე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 აპრილამდე;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურიტი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 ივნისამდე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტოკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 ივნისამდე;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 ივნისამდე.

მნიშვნელოვანია, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მიმღებმა ორგანოებმა დროულად მიიღონ შესაბამისი ზომები და მაქსიმალური ძალისხმევა გასწიონ, რათა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე მიღებულ იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და თავიდან იქნეს აცილებული საჯარო ინტერესებისა და მესამე პირთა უფლებების დაზიანება.

საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს მდივანი



მანანა კობახიძე